საქართველოს მთავრობის
დადგენილება

N 189 2023 წლის 22 მაისი ქ. თბილისი

„სპირტიანი სასმლის, სასოფლო-სამეურნეო წარმოშობის ეთილის სპირტისა და სასოფლო-სამეურნეო წარმოშობის დისტილატის სერტიფიცირების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 26 აპრილის №225 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „სპირტიანი სასმლის, სასოფლო-სამეურნეო წარმოშობის ეთილის სპირტისა და სასოფლო-სამეურნეო წარმოშობის დისტილატის სერტიფიცირების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 26 აპრილის №225 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 02/05/2022, 240110000.10.003.023438) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული წესის:

1. პირველი მუხლის 2[1] პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2[1]. ამ წესით დადგენილი მოთხოვნები სავალდებულოა შესასრულებლად საქართველოს ტერიტორიაზე ყველა იმ ფიზიკური და

იურიდიული პირისათვის, რომელიც დაინტერესებულია სპირტიანი სასმლის, ეთილის სპირტისა და დისტილატის საქართველოში სამომხმარებლო ბაზარზე რეალიზაციით, საქართველოდან ექსპორტით.“.

2. მე-5 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ბიზნესოპერატორი ვალდებულია, პროდუქციას სამომხმარებლო ტარაში დაფასოებისთანავე ან სტაციონარულ ან სატრანსპორტო ჭურჭელში მოთავსებისთანავე მიანიჭოს ლოტის ნომერი.“.

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს 2023 წლის 1 ივნისიდან.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**